

ერთი გამოთქმის აღწარმისათვის  
ქართულ ენაში

„... შენს სამს და ათ შაურს ერთი ათად გიბრუნებ. შენმა გულ-კეთილობამ რომ ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კინალამ არ დამიმორჩილა, აქამდის კიდევ გულში მიღვივის როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი. ისიც გაქრება, ვიცი. განა შენ ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! შენ კი არ დამირჩე ერთად ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“

შვილი გაოცდა, მამას ცივმა ოფლმა დაასხა.

— მე რა შუაში ვარო! — დაიძახა კენესით და თრთოლით შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახებდა.

მართლა და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...“

ეს მცირე ნაწყვეტი წარმოდგენს ილია ჭავჭავაძის ცნობილი მოთხრობის („სარჩობელაზედ“) ფინალს. თბილისის მომავალი მოხუცი მეურმე პეტრე ლოჭინზე შეხვდა ორ ყმაწვილს, რომლებმაც გაქურდულ ძმებად გააცნეს მას თავი. პეტრემ ყმაწვილები დააპურა, ურემზე დაისხა და ქალაქს წამოიყვანა. ღამე ქალაქის პირში გაათიეს. დილით ყმაწვილები ველარსად იბოვეს, პეტრეს კი ჯიბეები დაჭრილი აღმოაჩნდა. ქურდებს სამი და ათი შაური წაეღოთ.

რამდენიმე ხნის შემდეგ პეტრე ქალაქში, მახათაზე, ერთი ბიჭის ჩამოხრჩობას დაესწრო. ბიჭი ეცნაურა, მაგრამ მაინც ვერაფერი მოიგონა. უკან დაბრუნებულს სხვა ბიჭმა გზაში წერილი გადასცა: ამ დღევანდელ ამბავს ეს წერილი გეტყვისო. შინ დაბრუნებულმა წერილი წაიკითხა და აღმოჩნდა, რომ ჩამოხრჩობილი და წერილის გადმომცემი ის ძმები ყოფილიყვნენ, რომელთაც ერთხელ პეტრე გადაარცვეს.

ცოცხლად დარჩენილი და ძმის დალუპვით გულამღვრეული ძმა პეტრეს ერთიანად უბრუნებს წანართმევ ფულს და ამასთან ერთად იგიც ამქვეყნიური უკუღმართობის ერთ-ერთ მიზეზთაგანად და თავი-

ში ძმის სახრჩობელაზე აყვანის მონაწილეთაგანად მიაჩნია. „მ ე რ ა  
შ უ ა შ ი ვ ა რ ი“ — წამოიძახებს შეშინებული პეტრე. „მართ-  
ლა და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა  
იყოს“-ო — დასკვნის ავტორი.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს გამოთქმა — „რ ა შ უ ა შ ი ა!“

ეს გამოთქმა შეუფერებელი აგებულებისა ჩანს თანამედროვე  
ქართულში. იგი ორი სიტყვის შეხამების შედეგადაა მიღებული. პირ-  
ველია რა — კითხვის გამომხატველი ნაცვალსახელი, მეორეა შუაში,  
რომელიც ზმნისართია. ამათი ერთ სინტაგმაში გაერთიანება შეუძ-  
ლებელია. ამის გამო თანამედროვე სალიტერატურო ქართულში  
პრაქტიკულად ისმის საკითხი რა ნაცვალსახელის შეხამებისა შუაში  
ზმნისართთან, რომელიც მეტწილად ნათესაობითი ბრუნვის ფორმას  
უკავშირდება მასთან შეწყობილი სახელისას, ე. ი. ისმის საკითხი ა  
გამოთქმის შეცვლისა გამოთქმით — „რის შუაშია?“, მაგრამ, რამდე-  
ნადაც მოცემული მნიშვნელობით ასეთი გამოთქმა არ გვხვდება, ამ  
გამოთქმის შეცვლისა (უთანდებულო) გამოთქმით „რის შუაა?“, რო-  
მელიც სალიტერატურო ქართულში შეიძლება აგრეთვე გვხვდებო-  
დეს უფრო რთულ გამოთქმაში „რის შუაა, რა შუაა?“

შუა შუვა-ს (შოვა-ს) სახით ძველ ქართულში გვქონდა და ორი  
მნიშვნელობით იხმარებოდა: ერთი მხრით, იგი იყო ზედსართავი სა-  
ხელი, რომელიც მსაზღვრელად გამოყენებისას შეიძლებოდა ზოგ-  
ჯერ არსებით სახელს შერწყმოდა და მასთან ერთად კომპოზიტი შე-  
ექმნა. მეორე მხრით, იგი ზმნისართს წარმოადგენდა, რომელიც შეიძ-  
ლებოდა სახელსაც დაკავშირებოდა და, როგორც იტყვიან, თანდე-  
ბულის ფუნქციით აღჭურვილიყო. ორივე ეს მნიშვნელობა დადასტუ-  
რებულია, მაგალითად, ოთხთავის ტექსტში.

1. იღუპებით უკუე, რამეთუ არა იცით, ოდეს უფალი იგი სახლისად მოვი-  
დეს: მწუხრი ანუ შუვა ღამეს (შოვა ღამეს D), ანუ ქათმისა კმასა, ანუ გან-  
თიად (DE მრ. 13,35); აწ მღუპარე იყვენით, რამეთუ არა უწყით, ოდეს უფალი იგი  
სახლისად მის მოვიდეს: მწუხრი ანუ შუვა ღამეს, ანუ ქათმის ყივილს, ანუ გან-  
თიად (C).

და ეტყოდა მათ: ვის თქუნგანსა ესუას მეგობარი და მივიდეს მისა შუვა  
ღამეს (შოვა ღამეს D) და ჰქუას მას: მეგობარო, მავსხენ მე სამნი პურნი,  
რამეთუ მეგობარი მოვიდა ჩემდა და არაა მაქუს, რა დაუგო მას... (DE ლ.  
11,5—6).

ხოლო შუვა ღამეს (შოვა ღამეს D) ოდენ დადადება იყო, ვითარმედ:  
აჰა ესერა სიძე მოვალს, აღდევით და მიეგებვოდით (DE მ. 25,6); შუვა ღამეს  
ოდენ კმა იყო: აჰა ესერა სიძე, გამოედით და მიეგებვოდეთ მას (C).

ამ მაგალითებში **შუვა ღამე**- სიტყვის მსაზღვრელია და მასთან ერთად კომპოზიტს ქმნის (**შუვაღამე**).

2. მეორე მხრით, **შუვა** ზმნისართია და ზმნასთანაა დაკავშირებული.

და ჰრქუა კაცსა მას, რომელსა-იგი ჰელი განჰმელ ედგა: წარმოდეგ **შუვა**! (C მრ. 3,3).

მაგრამ შეიძლება დაუკავშირდეს სახელსაც:

მაშინ რომელნი ჰურიასტანს იყენენ, ივლტოდედ მათთ კერძო; და რომელნი იყენენ **შუვა** მისა, განივლტოდედ. (C ლ. 22,21).

და ვითარცა შემწუხრდა, იყო კულად ნავი იგი **შუვა** (შოვა D) ოდენ ზღუასა მას (DE მრ. 6,47).

ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა **შუვა** (შოვა)-საგან ნაწარმოებ **საშოვალ**-ს:

აღვიდოდა ადგილსა მას, რომელსა ჰრქუან თხემ, რომელსა ერქუმის ებრა-ელეზერ გოლგოთა, სადა ჭუარს-აცუეს იგი, და მის თანა ორნი სხუანი იმიერ და ამიერ და საშოვალ იესუ (C ი, 19, 17—18).

**შუვა**-საგან ნაწარმოები მშუვალე ძველ ქართულში **შუათანას**, **საშუალს** ნიშნავს:

და ძმანი მისნი ყოველნი და დიდებულნი ჰკლმწიფენი — ადარნასე უხუცესი და გუარამ მრწემი, — მშუვალესა მას ძმასა მორჩილ ექმნენს საღმრთოჲსა მშობისა სიყუარულითა, რამეთუ ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება იყენეს იგინი!.

**უხუცესი, მშუვალე და მრწემი!**

„ვეფხისტყაოსანში“ უკვე **შუა** გვაქვს. დადასტურებულია მხოლოდ ზმნისართის მნიშვნელობით<sup>2</sup>.

იგი სხვაა, სიძვა სხვაა, **შუა** უზის დიდი მზღვარი (24).

სისხლისა ცრემლსა გაეწნა **შუა** გიშრისა სატები (267).

მას ჰგვანდეს, თუმცა სამყაროს მზე უჯდა **შუა** მთვარეთა (1495).

თანდებულის ფუნქციით:

1 ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, ნ. მარის გამოცემა, გვ. კმ; Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, С.—Петербург, 1911.

2 აკ. შანიძის რედაქციით გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში“ თუმცა ზედსართავის მნიშვნელობითაცაა ერთ შემთხვევაში შეტანილი **შუა**, მაგრამ იგი ამ შემთხვევაშიც ზმნისართია („მიზრძანა; თუ: „ხამს დიაცი დიაცურად, საქმე-დედლად, დიდსა სისხლსა ვერ შევაქმნევ, ვერ ვიქმნები **შუა** ა კედლად“: 542. **შუა** კედლად ვერ ვიქმნები კი არა, არამედ **შუა** (=შუაში) ვერ ვიქმნებო კედლად.

ყმა დაჰმუნდა, ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი გულსა შუა (845).  
მუნ ვარდასა შუა შეენოდეს ძოწ-მარგალიტნი ტყუბანი (480).  
თქვენს შუა მქმნელი საქმისა, შენგან ნახმოზი დობისა (899).  
მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გამოფრინდა (980).

ამ შემთხვევებში **შუა** ახალი ქართულისებურად პოსტპოზიციურად და დასმული. მაგრამ პოემაში ძველი ქართულისებური, პრეპოზიციური წყობის ნიმუშებიც გვხვდება.

შუა ძოწსა და აყიყსა ჰვირს მარგალიტი ტყუბები (1146).  
დიდნი რამე სინათლენი გამოგვიჩნდეს შუა ველსა (1125).

შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

ჯერ ერთი: თუ **შუვა (შოვა)**//**შუა** ზმნისართი სახელებთან მანამდის პრეპოზიციურად იდგა, გაბატონდა პოსტპოზიციური წყობა: არა **შუა ძოწსა და აყიყსა**, არამედ **ძოწსა და აყიყს შუა**. ასეთი წყობა ჩვეულებრივია უკვე „ვეფხისტყაოსანში“.

მეორე: თუ სახელს **შუა** ძველად მიცემით ბრუნვაში მართავდა ჩვეულებრივ, შემდგომ ძალიან გახშირდა ნათესაობითში მართვის შემთხვევები („ეგ ოთხი წელიწადი... ბეწვის ხილია, ს ი ბ ნ ე ლ ი ს ა და ს ი ნ ა თ ლ ი ს შუა ბედისაგან გადებული: ილია). ასე მოუვიდა მრავალ სხვა ზმნისართსაც. ამან თანამედროვე სალიტერატურო ენაში პარალელური ფორმები წარმოშვა, ვარიანტები გააჩინა და ლიტერატურული ნორმის საკითხი დასვა<sup>3</sup>.

როცა **შუა** მიცემით ბრუნვას ერთოდა, ბევრ შემთხვევაში მიცემითი ბრუნვის ნიშანი **ს** ჩამოიკვეცა და **შუა** ფუძეს შეერწყა:

მესამე: ძალიან გახშირდა შემთხვევები **შუა**-ს მსაზღვრელ სახელად გამოყენებისა და შემდგომ ასეთი სინტაგმების კომპოზიტად ქცევისა. ასეთი კომპოზიტები გავრცელდა სამეცნიერო ტერმინოლოგიაშიც.

მეოთხე: ზმნისართული მნიშვნელობით ხმარებულ **შუა**-ს ში, ზე თანდებულები დაერთო და ასეთი ფორმები გავრცელდა. ამას კიდევ ის შედეგი მოჰყვა, რომ ზმნისართული მნიშვნელობით ხმარებულ უთანდებულო **შუა**-ს არქაული ელფერი მიეცა.

შემდგომ: საბოლოოდ ჩამოყალიბდა **შუა**-ს ხმარების წესი: ზოგი სხვა ზმნისართის მსგავსად **შუა** ორ სახელს ახლავს, ან, თუ ერთ სახელს დაერთვის, ეს სახელი მრავლობით რიცხვშია დასმული, ან ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელია, ან მესამე პირის ნაცვალსახელია, მრავლობითში დასმული (**მათ**), ან კიდევ კრებითი შინაარსის მქონეა.

<sup>3</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. კრებული პირველი, თბილისი, 1970, გვ. 109—112.

მოვიყვანთ საილუსტრაციო მაგალითებს.

**შუა ნათესაობითან:**

რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიღებოდა! (ილია).

ჩემი ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რალაც იღუმალი კავშირი (ილია).

ევოთხი წელიწადი... ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული (ილია).

აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ (ილია).

საშინელი ზღვარი იდგა მე და იმის შუა (ივ. მაქავ. თარგმ.).

საბძლისა და გრმურის შუა... წამით არსენას დედა მელანო და პაპა მახარა გამოჩნდნენ (მ. ჯავახ.).

ჩემ და ქვეყნის შუა ხომ ეხლა ხიდი ჩატეხილია! (ილია).

**შუა მიცემითან:**

ტყესა და ტყეს შუა ველები იყო (ვაჟა).

სოფელში გაზრდილ და ქალაქში მყოფ ბავშვებს შუა ისეთი განსხვავებაა, როგორც ნამდვილსა და მის აჩრდილს შუა (აკაკი).

გზებსა და გზებს შუა აი ასეთი კვლები უნდა დაიკვლოს (ილია).

ტიროდნენ ყვავილი კლდისანი, ქვებსა და ქვებს შუა ნავზე ამობრუნებულნი (ვაჟა).

მაშინ რკინისგზა მხოლოდ მოსკოვისა და პეტერბურგს შუა იყო (აკაკი).

საქართველო... ძვეს აზიის დასავლეთ კუთხეში, შავ ზღვასა და კასპის ზღვას შუა (ი. გოგებ.).

მართლაც უცნაურ ერთობას ვხვდავ სანთელს და ჩემ შუა (აკაკი).

ჩამოვარდნილა ორ ოჯახს შუა დიდი უსიამოვნება (აკაკი).

როცა შუა მიცემითანაა დაკავშირებული, ასეთი გამოთქმები თანამედროვე ქართულში მყარ გამოთქმებადაა ქცეული ზოგჯერ და ნათესაობითან შეხამებული ვარიანტი არ მოგვეპოვება. ჩვეულებრივია — თვალსა და ხელს შუა („თვალსა და ხელს შუა გავეპარე“: აკაკი), არ გვხვდება — თვალისა და ხელის შუა; არ გვხვდება — წამწმისა და წამწმის შუა, მაგრამ: „წამწამსა და წამწამს შუა ბალი გაგიშენებია“ (ხალხური).

ასევე ხდება იმ შემთხვევაში, როცა შუა მიცემითის ფორმას ერთვის,\* ხოლო მიცემითის სიკარგება და შუა ერწყმის სახელს. გვაქვს: ორ წყალშუა, ორ ცეცხლშუა; არ გვხვდება: ორი წყლის შუა, ორი ცეცხლის შუა.

დავრჩით მე და სოფო ორ წყალშუა (ვაჟა).

წარბებშუა შუბლი ჩანაოკებოდა (ილია).

ბევრჯერ უტირნია სერეფენიას, სოროში მოკუნტულს თუ საღმე ჯაგის ძირას გოხებში ლოდებ შუა გატრუნულს (ვაჟა).

ამ ორ ტახტ შუა აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა... ბუხარი (ილია).  
ორ წყალ შუა მყოფი ქართველობა ცდილობდა მცირე სახელმწიფოების მეტოქეობით ესარგებლნა (ივ. ჯავახ.).

ამის გამოა, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნორმად ის ფორმებია დადასტურებული, როცა შუა მიცემით ბრუნვას უკავშირდება<sup>4</sup>.

ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ, როგორც აღვნიშნეთ, შუა-ს არქაული ელფერი აქვს. მას მეტოქეობას უწევს შორის, შუა გარკვეულ ძველ გამოთქმებშილა შემორჩა, ამ შემთხვევაში კი, ბუნებრივია, მიცემითს უკავშირდება...

#### შუა პირის ნაცვალსახელებთან:

დედამ მიიყვანა ვანო ამ დაშალ ვაშლებთან და მათ შუა ხელით ჩაადგინა სალი ვაშლი (ი. გოგებ.).

ჩვენ შუა ხილია ჩატეხილი (ილია).

მათ შუა ჩადგა ნიავი (გ. ლეონ.).

#### შუა-ს მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევები:

შიგ შუა წყალში ცხენილამ გაღმოვბტი (ილია).

შუა ზაფხული იყო (ილია).

შუა წყალში რო შევიდა, ვირი განზრახ წაიქცა (ი. გოგებ.).

წყარო დიდ ნაკადულად ამოჩუხჩუხებდა შიგ შუა სოფელში (ი. გოგებ.).  
ხერხემალი არის უმთავრესი შუა ძვალი ტანისა... შუა ზურგზე ჩადის ტანის ბოლომდინ (ი. გოგებ.).

ვაჟაკცსა ცოლის სიავე შუა გზას მოაგონდება (ხალხური).

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ასეთი სინტაგმები უკვე კომპოზიტიდაა ქცეული, ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მოიპოვება ამისი მაგალითები: „შუადღე — დღის განზოგება; შუათანა — საშუალ დიდისა და მცირისა; შუაღამე — ღამის განზოგება; შუაღვინო — წყალნარევი ღვინო, გუმურა“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შეტანილია გაცილებით მეტი ამგვარი ერთეული: შუაგაპოზილი, შუაგაწყვეტილი, შუაგული, შუადღე, შუათანა, შუათითი, შუაკარი, შუაკაცი, შუა კედელი, შუამავალი, შუამარბი, შუა მარხვა, შუამდგომელი, შუა მდებარე, შუამდინარეთი, შუა მთა, შუამოქცეული, შუა მცველი, შუასაგე-

<sup>4</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებული პირველი, თბილისი, 1970, გვ. 122.

ბი, შუასადები, შუა სადილობა, შუა სარი, შუა სარმა, შუასაუკუნეობრივი, შუასაფენი, შუასაყარი, შუასაძვდი, შუატანი, შუა ტვინი, შუალამე, შუა ყური, შუაცეცხლი, შუა წელი, შუა ხანი...

მოყვანილ მაგალითთა ერთ ნაწილში შუა-ს ზმნისართული მნიშვნელობა აქვს. ეს მაშინ, როცა გამოთქმაში შემავალი მეორე სიტყვა მიმღებობაა; მაგალითთა მეორე ნაწილში შუა-ს მნიშვნელობა ზედსართულია. კომპოზიტად ქვევის პროცესი ყველა შემთხვევაში დასრულებული არაა.

საკმაოდ ხშირად გვხვდება ასეთი წარმოება ტოპონიმებში, კერძოდ, სოფლების სახელებში: შუა ალფვი, შუა ალვი, შუა ბარი, შუა განახლება, შუა გეზრული, შუა გორა, შუა გუბი, შუა იხნარი, შუა კვალითი, შუა კრინი, შუა ნოსირი, შუა სურები, შუა სხვავა, შუა ფარცხმა, შუა ხალაწანი, შუა ხევი, შუა ხორში... შუაფხო, შუამთა...

დასახელებულ ლექსიკურ ერთეულთაგან ზოგი ძველია: შუა-დღე, შუალამე, შუამთა, შუაფხო... შუალამე (შუეღამე), მაგალითად, უკვე ოთხთავშია დადასტურებული (იხ. ზემოთ).

შუა ახალ ქართულში შემორჩენილია ზმნისართული მნიშვნელობით:

გულრკინას ხოშარეულსა შუა გადუტყდა ხმალია (ვაჟა).

გვონებ, საცაა მზეს და მთვარეს ბნელი წყვილიადი გადფინება და ეს მიწა შებრუნებული შუა გასკდება შიშის ზარით (ივ. მაჩაბ. თარგმ.).

შენს სიყვარულზე დაამყარა მან სრულად თვისი ბედნიერება და გაჭირებას ერთგულებით შუა გიყოფდა (ივ. მაჩაბ. თარგმ.).

მაგრამ მე მიყვარს არწივი, სიმაღლე უყვართ არწივებს! შუა გაჰყვეთენ განწირვით, ვინც მზის გზას გაუქარწვიმებს (გ. ლეონ.).

შუა გადატყდა წარსულის ფუტე (ა. აბაშელი).

მოაგონდათ ალადის ძველი ცოდვები და მზად იყვნენ შუა გაეგლიჯათ (ს. შანშ.).

ხელისახოცი მოიხსნა, შუა გაუგდო ქალმაო (ბაჩ.).

თუ შუა გავიყავით, მაშინ ჩვენი საქმე წასულია (ა. ყაზბ.).

## შუა-ს თანდებულები დაერთო

ში:

ერთი, რომელიც უფრო მოყვანილი იყო და საშიში შესახედავი, შუაში ჩასვეს (აკაკი).

[ნენე] ჩააყენეს ყარაულებმა შუაში და გაიყვანეს საპრობილის კანცელარიაში (ს. მგალ.).

ხატაურაც ჩაუგორდებოდა ბავშვებს შუაში და უღარდელად კრუტუნებდა (შ. არაგვ.).

ქოთნები ერთად შეგროვილიყვნენ. ერთი უფრო მაღალი ქოთანი შუაში ჩამდგარიყო და იკეხებოდა (ი. გოგებ.).

არსენა მერმე ისევ შუაში ჩაუყენეს და ბარბაცით მიიყვანეს აბანოში (მ. ჭავჭავ.).

და ბოლოს, შუაში რომ მსაჯული იჯდა, იმან მკითხა ჩემი ვინაობა (აკაკი).

[სუმბათაშვილი] შუაში ჩადგა, მასპინძელს მიუბრუნდა და თავის თავგადსავალი უამბო (მ. ჭავჭავ.).

მთელ ოჯახს დედაბუდიანად შუაში ჩაეყენებინათ სტუდენტი და წინ შემომეფეთნენ (ი. ეკალ.).

[ეჭვის კაცი] შუაში ჩაიყენეს და უშვერი ლანძღვა-კრულვით ისევ ქვიშხეთისკენ მოაბრუნეს (მ. ჭავჭავ.).

ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ჩვეულებრივ, ზმნისართული მნიშვნელობა აქვს ში თანდებულდართულ შუა-ს და ზმნასთანაა დაკავშირებული, თუმცა შეუძლებელი არაა სახელსაც დაუკავშირდეს: „იქვე, ხალხის შუაში, სავსე ტივები ეყარა“ (ვაჟა). ზედსართული მნიშვნელობა, რაღა თქმა უნდა, გამორიცხულია.

ზე:

ბაბა და ნავროზა დერეფანში ისხდენ, შუაზე ხონია ედგათ (ვაჟა).

გამოდმით მე ვარ, გაღმა — შენ, შუაზე მოდის მდინარე (ვაჟა).

ვაჟმა შემოჰკრა ხმალი [ქალს] და შუაზე დ გაკაფა (თ. რაზიკ. ზღაპ.).

აიციდინა მწყერჩიტამ სახრე, მოხვდა მელას შიგ თავში და შუაზე დ გაუტეხა (ი. გოგებ.).

მივიდა ხოშარეული, შუაზე გასტეხს კარსაო (ხალხური).

ყველა თანდებულიანი ფორმა შეიძლება სახელსაც დაუკავშირდეს და თანდებულის ფუნქცია შეასრულოს, მაგრამ არც ერთი მათგანი, რა თქმა უნდა, ზედსართული მნიშვნელობისა არ შეიძლება იყოს. თანამედროვე ქართულში უკვე განაწილებულია ფუნქციები: ზმნისართული მნიშვნელობა თანდებულიან ფორმებს უკავშირდება, უთანდებულო მსაზღვრელადაა გამოყენებული და შემდეგ კომპოზიტად შეიძლება იქცეს.

ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი ტიპის მაგალითები: „ნამდვილ მეჩვენე, რაცა ხარ, თორო გაგჭერი შუადა“ (ვაჟა). აქ გარდამავალი საფეხურია წარმოდგენილი ზედსართული მნიშვნელობის შუა ფორმიდან ზმნისართულივე მნიშვნელობის თანდებულიანი ფორმებისაკენ: მიმართულებითს ბრუნვაში დასმა შუა-ს ზმნისართულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

ასეთია შუა-ს (თანდებულიანი შუაში ფორმის) მნიშვნელობები.

შუა//შუაში შესაძლოა დამოკიდებულ სიტყვას წარმოადგენდეს სინტაგმაში: ზმნა+შუა || შუაში (ზმნისართული მნიშვნელობა);

შუა//შუაში შეიძლება წამყვანი სიტყვა იყოს სინტაგმაში: სახელი+შუა//შუაში (ზმნისართი თანდებულის ფუნქციით);



**შუა შეიძლება დამოკიდებული სიტყვა იყოს სინტაგმაში: შუა + სახელი (ზედსართაული მნიშვნელობა, მსაზღვრელი).**

მაგრამ თანდებულიანი ფორმა **შუაში** არ შეიძლება წამყვანი სიტყვა იყოს და სახელი (ამ შემთხვევაში კითხვითი ნაცვალსახელი) დაიქვემდებაროს. ამიტომია, რომ უცნაურად გვეჩვენება გამოთქმა **რა შუაშია!**

ეს გამოთქმა კი ძალიან გავრცელებული გამოთქმაა სალიტერატურო ქართულში; იგი გვხვდება ყველა ქართველი მწერლის ნაწარმოებებში და ამასთან, რაც მთავარია, მას ვარიანტი არ მოეპოვება.

ამ ნარკვევის დასაწყისში ჩვენ მოვიყვანეთ ნაწყვეტი ილიას მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“. დავასახელებთ კიდევ რამდენიმე მაგალითს.

[ტარიელს] გულისთქმამ ცნობა წაართვა, ცნობის წართმევამ — ღონე და უღონობამ მჩერად აქცია... აქ რა შუაშია ან ქართლელი, ან კახელი, ან იმერელი! (ილია).

შენ რა შუაში ხარ, რომ მზითევს მპირდები? (ილია).

ჩვენ რა შუაში ვართ? (მ. ჭავჭავაძე).

— ჩემო ეთერ, მახარე, ეტყობა ოცნების ახალგაზრდა... კაცია...! — ოცნება რა შუაშია, როცა თავის ოცნებას ახორციელებს (შ. არაგვი).

ვიღაც მუღრგეი დაფოთარობს სამზარეულოში, მე რა შუაში ვარ?

(ბ. კლდ.).

ნუ გაიღიმებ, ჩემო კარგო, ჩემს შეკრთომაზე, ამ სივრცეებთან ვეკაცობა რა შუაშია? (ი. აბაში).

იმე, მე რა შუაში ვარ?.. (ნ. ლორთქ.).

რა შუაშია ისტორია და სოციოლოგია? (ნ. ლორთქ.).

რა შუაშია გელა და ბასიკო ან ამათი ამაგი, შენ ელდინო მოგწონს და სახსოვარსაც მაგის ეშხით აკეთებ (ბ. შანშ.).

აქ, ძმაო, საზოგადო საქმეა, ნათესაობა რა შუაშია? (ავ. ბელ.).

აქ სინდისი რა შუაშია, ხომ არ მომიპარავს! (ეკ. ვაბ.).

სამსახურისთვის ხამს სამსახური, რა შუაშია ნეტა აქ ქრთამი? (კ. მაყ.).

ჩვენ რა შუაში ვართ? (ვ. ბარნ.).

მაქსიმე რატომ არ უზის საცოლეს გვერდით, ჯიბო აქ რა შუაშია?

(ეკ. ვაბ.).

**რა ნაცვალსახელის გვერდით შეიძლება რაღა შეგვხვდეს:**

„მე ვსტიროდი, სხვები რაღა შუაში იყვნენ?“ (ვაჟა).

ამათ გვერდით გვხვდება აგრეთვე გამოთქმა **არაფერ (არაფერს) შუაშია** უარყოფით-მტკიცებითი შინაარსისა.

... მითამ და ევრობის გაჰირვებული ყოფა და მდგომარეობა აქ არაფერს შუაშია (ილია).

... იერემია აქ არაფერ შუაშია (გ. წერეთ.).

შეგვინდა! ნუ გაგვწყვეტ! ორი ბიჭი გაბრიყვდა. ჩვენ არაფერ შუაში ვართ (ნ. ლორთქ.).

აქ სიზარმაცე ვითომ ქართლელისა არაფერს შუაშია და მეტის-  
მეტად უადგილოა (ილია).

იქნება [სოფიო] ამ საქმეში არაფერ შუაშია (ი. გედვი).

ეშმაკმა იცის, ვინ მოგვემსთ... — გაიკვირვა მოიჯარადრემ, ვითომც ის არა-  
ფერ შუაში ყოფილიყო (ნ. ლორთქ.).

ეს უნებლიეთ მოუვიდა ქალს, თორემ არაფერ შუაში იყო (ვ. ბარნ.).

ავინმა ბრძანება ასრულეს, თითონ ხომ აფერ შუაში იყვენო

(ე. ნინ.).

ბოლშევიკები აქ არაფერ შუაშია, ამხანავო ოქროპირ! (რ. გვიბ.).

ღმერთი აქ არაფერს შუაშია (ილ. აგლ. თარგმ.).

ვინც არაფერ შუაშია, იმას ვინ რას ერჩის (ბანოვ.).

**არაფერ (არაფერს)** ისევე ვერ დაუკავშირდება შუაში ფორმას,  
როგორც ვერ უკავშირდებოდა რა კითხვითი ნაცვალსახელი.

ამდენად, როგორც ერთი, ისე მეორე გამოთქმა ქართულში რა-  
ღაც სხვა განოთქმათა შეცვლის შედეგად ჩანს მიღებული.

საშუალო საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლებში ყუ-  
რადლებას იპყრობს ერთი გამოთქმა. ესაა შუა შემოსვლა||შუა ჩამო-  
სვლა და აგრეთვე მისგან ნაწარმოები სიტყვები.

აწე ვინცა და რამანცა კაცმან ადამის ნათესავმან, ანუ დადიანმან, ანუ გუ-  
რიელმან, ანუ კათალიკოზმან, ანუ სხუამან ებისკოპოზმან, ანუ თავადმან, ანუ  
აზნაურისშვილმან, ანუ კაცმან და ანუ დედაკაცმან ამისად ქცევად და შლად  
ქელყოს ანუ სალაპარაკოდ შუა შემოვიდეს, მასამც რისხავს თავათ დაუ-  
საბამო ცისა და ქვეყანისა შემოქმედი ღმერთი, მამა, ძე და სული წმიდაჲ!

შემოვიდეს შუა დადიანი ლიპარიტ და ძე მისი გურიელი მამია და  
სხუანი იმერლნი თავადნი და დარბაზის ერნი. ვქენით მოკითხული და ვისმინეთ  
აჯა და მოხსენება თქუენი და ძუელსა განაჩენსა ზედა გაგიჩინეთ ახალი ესე ჩუენ-  
გან შეწყალებით მოცემული სასისხლო განაჩენი სიგელ<sup>6</sup>.

საგდებელი გარდააცვა ბარზუმ გურგენს, წამოზიდა,

ხანჯლით მოკვლა დაუპირა, დედა შუა შემოვიდა<sup>7</sup>.

მოიკმო კათალიკოზი მალაქია და აბაშიძე ლევან და შეუთუალა ესრეთ მპყრო-  
ბელსა იმერეთისასა გიორგის: რადგან შუა ჩამოსულხარო, მე მეფე

---

5 აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი. ს. კაკაბაძის გა-  
მოცემა, ტფილისი, 1914, გვ. 50.

6 ორალელის ძეთა კვიტაშვილთა სასისხლო სიგელი, ბოძებული მეფე გიორგი  
XI-ის მიერ, 1483 წლისა: საქართველოს სიძველენი, ექვთ. თაყაიშვილის რედაქ-  
ტორობით, III, თბილისი, 1910, გვ. 436.

7 შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, ტ. II, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამი-  
ძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით,  
სტროფი 4065, ტფილისი, 1934.

ელუარსაბთანა არცა რა საქმე მაქუსო და არცა რას ვემდურვიო და არც მაგის წასაქდენად მოვსულვარო<sup>8</sup>.

ამის შუა შემოიყვანა ენუქ არქუნ, კაცი მართალი და პატიოსანი, სჯულითა ქრისტეს ჭუარისა თაყუანისმცემელი, და მან უთავსდებდა ყენს, რათა არა ევენოს დავითს და ძესა მისსა გიორგის<sup>9</sup>.

ესეთი იყოს დაკოდლი, რომე არა დაუშავდეს, მაშინ საბატიოთა კაცთა შუა-შემოსლვითა შეიწყუნენ, ვითარცა მართებდეს (გვ. 289, A).

თუ ესეთი რამე დაეკოდოს, რომე არა დაუშავდეს და აჩნდეს, საბატიოთა კაცთა შუა-შემოსლვითა შეტყეებით მოიყვანენ, დაუტურვებინონ, ვითარცა მართებდეს (გვ. 289, B).

და თუ საბატიოთა კაცთა შუა-ჩამოსლვითა ჩამოუვიდეს, არა საკრეველია და თუ უმცროსთა დასჯერდეს კაცთა შუა-შემოსლვითა, არც-რა საკვირველი ესეა (გვ. 291, B).

ესე ზედა-დამსხმელმანცა და დამხვდომმაცა ერთმანეთისა ნების მყოფლობითა, კაცთა შუა-შემოსლვითა ქნან, რომელიცა ერჩიოს (გვ. 291, B).

შუა-მისრულისა ასრე იქმნას (გვ. 292, A).

შუა-მისრულისა კაცისა ასრე იქნას (გვ. 292, B)<sup>10</sup>.

გამოთქმები შუა შემოსვლა, შუა ჩამოსვლა მოდავეთა და მოშულღეთა შორის შუამავლად, შუააკაცად, მომრიგებლად მოსვლას, დადგომას, გამშველებლად მისვლას ნიშნავს. ამ გამოთქმებში შუა სიტყვას შენარჩუნებული აქვს ზმნისართული შინაარსი. ამგვარივე წარმოშობისაა შუა მისრული და შემდგომ ქართულში ძალიან გავრცელებული ტერმინი შუამავალი, აგრეთვე ამისგან ნაწარმოები ზმნა შუამავლობს და სახელები — შუამავლობა, საშუამავლო და სხვ. სხვაგვარი შედგენილობისაა შემდეგ აგრეთვე გავრცელებული ტერმინი შუააკაცი.

იმ ძეგლებში, რომლებშიც შუა შემოსვლა და მისი მსგავსი გამოთქმები იხმარება, შუამავალი ჩვეულებრივ არაა, იშვიათად გვხვდება („მონაზონისა და დედაკაცისა შუამავალი მოკლან, ორკეცი სისხლი დაუტურვონ“<sup>11</sup>). სამაგიეროდ ამ ძეგლებში ჩვეულებ-

<sup>8</sup> ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა: ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959, გვ. 393.

<sup>9</sup> ქამთალმწერელი, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა: ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959, გვ. 244.

<sup>10</sup> ყველა ეს მაგალითი ამოღებულია „ბექა მანდატურთუხუცესის სამართლიდან“ ი. დოლიძის გამოცემის მიხედვით, რომელიც შესრულებულია ორი, A და B ლიტერებით აღნიშნული, ხელნაწერის მიხედვით (ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953). ლიტერები A და B ამ შემთხვევაშიც ამ ორ სხვადასხვა ხელნაწერში დაცულ ტექსტზე მიუთითებს.

<sup>11</sup> ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი: ი. დოლიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 292.

რივია ტერმინი **შუა სწორედ შუამავლის, მომრიგებლის, შუაკაცის მნიშვნელობით**, ე. ი. **შუა** არსებითი სახელის მნიშვნელობითაა ნახმარი.

შუა დ მონაზონი ან მწირველი ხუცესი ანუ დიაცი მივიდეს, ესრეთ რომე აბჯარი არა ჰქონდეს და ასეთი მოკლან, ვინც მოკლან, ორკეცი სისხლი დაიურვოს მისა გვარსა ზედა<sup>12</sup>.

მონაზონისა და დიაცისა, ხუცესისა თუ შუა დ მოსრული იყოს და ესეთი, რომელი მოკვდეს, ორკეცი სისხლი დაუურვოს, რისაც გვარისა იყოს (გვ. 292, B).

და თუ ერისგანი იყოს და მართლად გამოჩნდეს, რომე შუა ყოფილიყოს, მისიცა ორკეცი სისხლი იყოს (გვ. 292, B).

თუ კაცსა კაცისა მამული ჰქონდეს [და] ანუ პატრონებისა საქმისაგან და ანუ სხვის რისამე უამისა მოგვარებისაგან ვერღა წაედოს, რა გინდა შესძლებოდეს, და სარჩელი, ბრძოლა და კაცთა წინა ჩივილი არაოდეს დაეკლოს, ხანის გამოსვლისათვის უსაქმობასა არავინ ემართლების და ნურცა შუანი გაუმაგრებენ (გვ. 304, B).

ჩამოშუებას შუანი არ ემართლებიან (გვ. 308, A).

წესი რამე დადებული ძნელად მოეშლების, შუანი არა ემართლებიან (გვ. 308, B).

თუ უმეტრად შესრული მოკლას, ნაწყენი უზღოს შუათა დახედვითა (გვ. 309, B).

სხვად თუ კაცი რასმე ესაქმებოდეს სამართლითა და საჯეროთი, შუათა პირითა ნაზავები პირი და წიგნი არა მოეშლების უკანის ანუ სარგებლის დახედვის დახედვისათვის, ანუ ძალისა შოებისათვის (გვ. 314, B)<sup>13</sup>.

ვითაცა ალაგი უკლებლად ეჭამოს, შუათა დახედონ და აგრე დააკლონ (გვ. 326, A).

ვითაცაღა ეჭმევინოს და შუათაღა დაჰხედნეს, და აგრე დააკლონ (გვ. 326, AB)<sup>14</sup>.

ყველა მოყვანილ მაგალითში **შუა** არსებითი სახელია, ხან მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი და ხანაც მრავლობითისა. იგი სამართლებრივ ტერმინს წარმოადგენს და, ბუნებრივია, სამართლის წიგნებში გვხვდება. ი. დოლიძის გამოცემას დართულ ლექსიკონში ეს ტერმინი ზუსტადაა განმარტებული:

„**შუა**: უზღოს შუათა დახედვითა — გადაუხადოს შუაკაცთა შეფასებით; **შუა-მისრული კაცი** — მეომართა გამზავებელი, გამრიდ-

<sup>12</sup> გიორგი ბრწყინვალის სამართალი, ი. დოლიძის გამოცემა, 1954, გვ. 113.

<sup>13</sup> ყველა ეს მაგალითი ამოღებულია „ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლიდან“ ი. დოლიძის შემოდასახელებული გამოცემის მიხედვით. იხ. მე-10 შენიშვნა ზემოთ.

<sup>14</sup> აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი: ი. დოლიძის ამავე გამოცემის მიხედვით.

ბელი, გამწველებელი კაცი; შუათა დაჰხედნეს — შუაკაცებმა, მედიატორებმა შეათასონ“.

**ჩამოსვლა:** კაცთა შუა ჩამოსლვითა ჩამოუვიდეს — დააკლოს შუაკაცთა მონაწილეობით. შუა ჩამოვიდნენ — შუაში ჩადგნენ.

**ჩამოშუება:** დაკლება; ჩამოშუებას შუანი არ ემართლებიან — შუაკაცებმა არ უნდა დააკლონ“<sup>15</sup>.

შუა-ს გასუბსტანტივება ამ შემთხვევაში იმან განაპირობა, რომ იგი ტერმინად, სამართლის ტერმინად, იქცა. ამ სიტყვის გასუბსტანტივების სხვაგვარი შემთხვევებიც გვხვდება ქართულში. სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს მრავლობითის ფორმა ამ სიტყვისა. „შუანი — მკეტთა და ძალთა მაგარნი და დიდნი კბილნი“-ო — განმარტავს ლექსიკოგრაფი. წყაროდ ლექსიკონში დამოწმებულია ფსალმუნი (57,17).

შეიძლებოდა მოგვეყვანა აგრეთვე ერთი ადგილი „ისტორიათა და აზმათაგან“:

„შემდგომად ამისა გამოსლვასა ხანისასა ლაშქრობდეს ქუემონი ქუემოთ და ზემონი ზემოთ, და შუანი შუათ, და ყოველგან ძლევამოსით და გამარჯუებით“<sup>16</sup>.

შუა ამ შემთხვევაშიც გასუბსტანტივებულია. აქედან ჩანს, რომ შუა-ს წარმოდგენა არსებით სახელად ქართულისათვის საერთოდ არაა უცხო.

კიდევ მეტიც: არსებობს ამ შუა-საგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელიც — შუაობა.

ყოველივე დიდი და მცირე შეითქვნეს და სიბერით მოუძღურებულის საქმე შუაობით ახსოცეს და ხელმწიფობისა საქმისა აღვირისა სადავე დაუშრომლად მას ჭაბუქსა მიაბარეს<sup>17</sup>.

ჩვენითა შუაობითა დავიურვა სისხლი ესე<sup>18</sup>.

ეს მაგალითებიც იმას უჭერენ მხარს, რომ შუა-ს გასუბსტანტივება ჩვეულებრივია. ამ მაგალითებში ამოსავალია შუა-ს სუბსტანტიური მნიშვნელობა: აბსტრაქტული სახელები -ობ-ა სუფიქსებით სუბსტანტივის ფუძისაგან იწარმოება.

15 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 374.

16 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959, გვ. 39.

17 „ქილილა და დამანა“ ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1949, გვ. 365.

18 ს. კაკაბაძე, უცნობი აფხაზეთ-იმერეთის მეფე თამარ II, გვ. 3.

გამოთქმა რა შუაშია ამ შუა-ს (არსებითი სახელის) და რა კითხვითი ნაცვალსახელის შეერთებით ჩანს მიღებული. რა შუაა — რა შუამავალია, რა შუაკაცია, რა ესაქმება მას; არაფერი შუაა — არაფერი შუამავალია.

შემდგომ არსებითი სახელის მნიშვნელობით სალიტერატურო ენაში ეს სიტყვა გაქრა, იგი შეცვალა რთულფუძიანმა სიტყვებმა — შუაკაცმა, შუამავალმა, ხოლო, როცა ზმნისართული მნიშვნელობის მქონე შუა-ს თანდებული დაერთო (შუაში) და ამ მნიშვნელობით ეს ფორმა გაბატონდა, ამ გამოთქმაში შუა სუბსტანტივსაც დაერთო ეს თანდებული და გამოთქმა რა შუაა შეიცვალა გამოთქმით რა შუაშია; ასევე გამოთქმა არაფერი შუაა შეიცვალა გამოთქმით არაფერ (არაფერს) შუაშია. პირველ შემთხვევაში რა ნაცვალსახელი და თანდებულისანი ფორმა შუა-ში ერთმანეთთან შეუწყობელი, შეუხამებელი დარჩა, ხოლო მეორე შემთხვევაში არაფერ-სიტყვა ბრუნვაშიც კი შეეთანხმა შუაში- ფორმას: არაფერ შუაშია//არაფერს შუაშია.

გამოთქმა რა შუაა (არაფერი შუაა) თითქოს არ მოიპოვება იმ ძეგლებში, რომლებშიც შუა ტერმინი ჩვეულებრივია გამოყენებული. ეს უნდა აიხსნებოდეს ამ ძეგლთა ხასიათით, მათი შინაარსის თავისებურებით, დანიშნულებით. ეს ძეგლები კოდექსებს წარმოადგენს. გამოთქმა რა შუაა (რა შუაშია) სასაუბრო სტილის შესაბამისია, დიალოგს გულისხმობს (დავას, პაექრობას) და შესაფერი ემოციების შემცველიცაა. როცა ამის შესაფერი ლიტერატურა გაჩნდა ჩვენში როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური ხასიათისა, მაშინ სალიტერატურო ენაში უკვე დამკვიდრებული იყო გამოთქმა რა შუაშია.

მაგრამ რაც არა ჩანს სალიტერატურო ენაში, ის შემოუნახავს კილოებს, კერძოდ, მოხეურში შუა დაცულია სუბსტანტური მნიშვნელობით, შუამავლის, შუაკაცის მნიშვნელობით.

შუანი წავედით ორი კაცი იქა.

მოხეურშივეა დაცული გამოთქმა რა შუა (რალა შუა).

თუ შენ კი აპატივე, ჩვენ რალა შუა ვართო<sup>19</sup>.

გარდა მოხეურისა, იმ სხვა კილოთაგან, რომელთა შესახებ ჩვენ

<sup>19</sup> ეს მოხეური ფრაზები ჩავიწერე 1957 წლის 6 ივლისს სოფ. გერგეტში ღრმად მოხუცებულ მოხევესთან, გიორგი თამაზხანოვთან, საუბრისას. საუბარს ამ სტრიქონების ავტორის გარდა ესწრებოდნენ: განსვ. ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველური ენების სპეციალისტის რამდენიმე სტუდენტი.

უტყუარი ცნობები მოგვეპოვება, გამოთქმა რა შუაა დაცულია კახურ-ქიზიურში, ფშურში, ზემოიმერულში...

ბიბლიოთეკა თუ დაკეტილია და წიგნი ვერ მოვიტანეთ, დარჩია რა შუაა<sup>20</sup>?

მერე კალთაზე ხელი დამკრა და კრეჭით მეუბნება: შენი მაზლი მახსენებსო. თითქო სახრე გადამიჭირესო, იგრე დამემართა. კონები გამოვიკარ და წამოვდექი: ჩემი მაზლი რა შუაა, ცოტანი გეყოლებიან იმოდენა რუსეთში მომგონებლები-მეთქი!

როგორ თუ გული არ ვახსენო! სწორედაც რო წლები რა შუაა, ჩემო რძალო, გული იყო, გული, თორემა აგე, ეშხი გიუა ახალგაზრდაა და თანაც ეშხიანი, მაგრამ კისერს ძლივს იჭერს.

ეს ორი მაგალითი ამოღებულია ზაირა არსენიშვილის მოთხრობიდან „ბაბუცა“. ავტორი იყალთოელია წარმოშობით.

თიანეთის რაიონში, სოფ. არტანში 1947 წლის ზაფხულს მე ჩავიწერე ადგილობრივ ფშაველებთან საუბრისას ასეთი ფრაზა:

რა შუაა ბავშვები დაუნაშავალი?

ხოლო ქეთ. ძოწენიძეს ეგვე გამოთქმა დადასტურებული აქვს ზემოიმერულშიაც:

„რა შუა არის რა შუაშია. შენ გააფუჭე, მე რა შუა ვარ (სვერი)“<sup>21</sup>.

ზემოიმერულშივე ყოფილა დაცული ამავე რიგის ძალიან დამახასიათებელი გამოთქმა: შუას არ იყო: „შუას არ იყო. დამნაშავე არ იყო. როგორც მე მართალი ვიყო და შუას არ ვიყო, ისე იხმარე შენ (ღარიხევი)“<sup>22</sup>.

გამოთქმა რა შუაა, როგორც ჩანს, აღმოსავლურ კილოებშია უფრო დაცული, ყოველ შემთხვევაში, გავრცელებული. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ იგი დასავლურ კილოთაგან სწორედ ზემოიმერულში მოიპოვება.

შესაძლებელია შუა-სთან რა ნაცვალსახელის ნათესაობით ბრუნვაშიც შეწყობა, ოღონდ გამოთქმაში — „რის შუაა, რა შუაა?“

შეადარე მსგავსი გამოთქმები, რომლებიც ჩვეულებრივია როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე კილოებში:

20 ეს ფრაზა წარმოთქვა 1961 წლის 12 იანვარს ერთ ოფიციალურ სხდომაზე შეცნიერმა მუშაკმა, ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტმა. იგი ქიზიურ-ლია, ამჟამად პროფესორი.

21 ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974, გვ. 310.

22 იქვე, გვ. 442.

რის ქართველობა, რა ქართველობა! მითომ რას გვავენებს უცხოტომობა?

(ნიკ. ბარათ.).

რის სირცხვილი, რა სირცხვილი, კაცო! (თ. რაზ.).

რის წიგნები, რას ამბობ! (შ. დად.).

თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით საკითხი გამოთქმისა რა შუაშია არ დაისმის. იგი ერთადერთი გამოთქმაა ამ მნიშვნელობისა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. შეადარე ამ წერილის დასაწყისში ილია ჭავჭავაძის ფრაზა: „მართლა და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...“